



მწევესი

1883-1889


გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

«მწევესი»	«მწევესი» რუსული გამოცემით
12 თვეთ 5 მან.	12 თვეთ 6 მან.
6 — 3 —	6 — 4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Кавказъ, Въ контору редакцїи „Мѣстны“ (Пастырѣ).*

ყველა სტატიები და კორექსონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავთ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან სელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს. სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

«მწევესი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის ისრუთმეტს და ოც-და-ათ ზიტყვებში.



უწყბიდესი სინოდის ოპერ-პრეკურორი კ. პ. ჰობეჯანასტევი.



უფილდისი სინოდის ობერ-პროკურორი კონსტანტინე პეტრეს ძე პოპოვსკისადმი.

როდესაც ამას წინეთ გარდაცვალებულმა გრაფმა დ. ა. ტოლსტოიმ თავი დაანება უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობას, ხელმწიფე იპკერატორმა რუსეთის ეკლესიის სამართლებრივ სათავეში დააყენა კაცი, რომელსაც ყველაზედ უკეთესად შეეძლო შეესრულებია ძნელი საქმე—ყოფილიყო «თვალად ხელმწიფისა», ვითარცა «სასულიერო კოლეგიის უმაღლესი მთავრობისა» და ვითარცა პრესბუტერი სარწმუნოების დოქტორების უმაღლესი მცველისა და მფარველისა და მართლ-მადლებლობისა და წმ. ეკლესიაში ყოველივე კეთალ-წესაერების ზედამხედველისა. მსრფიო კაცი იყო პანსტანტინე პეტრეს ძე პოპოვსკისადმი; იგი დანიშნულ იქმნა ობერ-პროკურორად 24 აპრილს 1880 წელსა. პანსტანტინე პეტრეს ძის მაღალი გონებრივი და ზნეობრივი თვისებანი სანატრელი სისრულით მხად ჰყოფდენ მასს ამა მაღალი და პასუხის საგებელი სამსახურისათვის.

მამა კონსტანტინე პეტრეს ძისა წარმოსდგებოდა სასულიერო წოდებისაგან და მოსკოვის უნივერსიტეტში პროფესორობდა; თვითონ კონსტანტინე პეტრეს ძემ შეასრულა სწავლა სამოქალაქო სჯულთა სასწავლებელში და ამიტომ მისი მომავალი სამსახურის ასპარეზი ეკუთვნოდა სამსახურს უწყებას. ამ უწყებაში იმსახურა მან 25 წლამდე, უმთავრესად მოსკოვის სენატში, მხოლოდ რამოდენიმე ხანს ასწავლიდა მოსკოვის უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართლის წარმოებას, ხოლო შემდეგ მასს მიანდეს იურიდიულ მეცნიერებათა სწავლება განსვენებულ მეჰკეადრის ცესარევიჩის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის და დიდი მთავრის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისათვის, რომელსაც დღეს მშვიდობით მეფობს. პანსტანტინე პეტრეს ძის მოღვაწეობის მეორე ნახევარი იწყება 1872 წლიდან, როცა იგი დანიშნულ იქმნა სახელმწიფო რჩევასწავლად. ამ დროს იგი ცხოველს მონაწილეობას იღებდა თავისუფალი ფლოტის გამგეობის საქმეებში და თავს-მჯდომარედ იყო მის გამგეობაში მყოფ საზოგადოებისა.

იურიდიულ მეცნიერებათა ზედ-მიწვენიით ცოდნა კონსტანტინე პეტრეს ძისა ცხადად აჩნია მის მრავალ რიკბოვან თხზულებათა, რომელთაგან ზოგი დაბეჭდილი-

ნი იყენენ «Рук. Вѣд.»-ში და ზოგნი სხვა უმთავრესად სამეცნიერო დრო-გამოშვებითი გამოცემებში. განსაკუთრებით დაფასებულია იურისტებისაგან მისი თხზულება, სახელად «სამოქალაქო სჯულის კურსი», სამ წიგნად; ეს წიგნი უკვე გამოიცა ორგზის და დღეს იგი შეადგენს ბიბლიო-გრაფიულ იშვიათ განძს. ისტორიულ თხზულებათაგან შესანიშნავნი არიან: 1) ახალი მოგზაურობანი აღმოსავლეთის ქვეყნებში.— შინაური ცხოვრება პალესტინაში.— ტიშენდორფი და სინაელი დაბადება. 2) ჩემის ახნაურის ვარტისლავის თავ-გადასავალი კონსტანტინეპოლში და მძიმე პატრომობის დროს თათრების ხელში, ავსტრიის დესპანთან ერთად 1591 წელში,—თარგმნილი ჩეხური ენიდგან. დასასრულ მასვე ეკუთვნის ჩინებულად დაწერილი და ფრიად საინტერესო წიგნი: წერილები ხელმწიფე მემკვიდრე ცესარევიჩის მოგზაურობაზე რუსეთში პეტერბურგიდან ყირიმამდე, გამოცემულნი 1864 წელში.

მხურვალე სარწმუნოებრივმა გრძობამ, რომლითაც უზვად დაჯილდოებულია ბუნებისაგან კონსტანტინე პეტრეს ძე, დიდი ხანია, რაც მიიზიდა იგი საეკლესიო ისტორიის შესწავლისა და სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წიგნების კითხვისადმი. როგორც ძველი, აგრეთვე მრავალი ახალი ენების მშვენიერად ცოდნამ შეაძლებია მასს წაეკითხნა და გასცნობოდა ყოველივეს, რაც კი რამ შესანიშნავი არის საეკლესიო-სარწმუნოებრივ მეცნიერებაში, და მისი წიგნთ-საცავი კერძოდ იურიდიულ წიგნებთან ერთად წარმოადგენს სხვა-და-სხვა საუკუნეთა და სხვა-და-სხვა ხალხთა მრავალ საღვთისმეტყველო თხზულებათაც. საღვთისმეტყველო მის დაუღალავ მეცადინეობას მოჰყვა მშვენიერი თარგმანი ლათინური ენიდან ოთხი ძეგლის შესანიშნავი წიგნისა «იესო ძრისტეს მიბაძვა», რომელიც გამოვიდა 1869 წელში და ხელ-მეორედ დაიბეჭდა 1880 წელში.

ოთხმეცა ყოველივე ამებს იმასაც დაუმატებთ, რომ პანსტანტინე პეტრეს ძე შემკულია მტკიცე ლოლიკურის მსჯელობის ნიჭით, ღრმა და ნათელი გამჭრიახობით და შესანიშნავი მჭევრმეტყველობით, რომელიც მან გამოიჩინა მრავალს სიტყვებში, განსაკუთრებით ფრიად მშვენიერი იყო მისი სიტყვა კიევში რუსთა ნათლისღების 900 წლის დღესასწაულობაზე,— ჩვენ ადვილად დაერწმუნდებით, რომ შემდეგ ტოლსტოისა ღვთივ-განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორს ალექსანდრე ნიკოლოზის ძეს უკეთესი კაცი არა ჰყავ-



და, რომ მისთვის ობერ-პროკურორობის თანამდებობა მიენდო. მსგავსად თავის წარჩინებულის მოადგილისა, კონსტანტინე პეტრეს ძე გამოვიდა თავის მოღვაწეობის ახალს ასპარეზზედ გარკვეულის განზრახვებით და მტკიცედ განსაზღვრული პროგრამითა და მედგრად და კვალ-და-კვალ შეუდგა თავის მოქმედების გამოხატულის გეგმის განხორციელებას და აღსრულებას. როგორც ეკლესიის გულ-მოდგინე და მორჩილი შვილი იგი მთელის თავის ძალღონით, სულითა და გულით შეუდგა მისი ინტერესების დაცვას, რათა დაეფარა ეკლესია სხვა-და-სხვა მავნებელ აზრთა და მოვლენათაგან და გაესწორებია ყოველივე ის, რაც ამახინჯებდა მის ნათელს სახეს, ეკლესიის ქემშარიტ დანიშნულების გაუგებლობისა გამო, ანუ შემცდარ და უადგილო ზომათა ხმარების მეოხებით მის გასაწმენდელად და ასამაღლებლად.

პირველი საქმე, რომელზედაც კონსტანტინე პეტრეს ძემ მიაქცია თავისი ყურადღება—იყო მის დანიშნამდე ცოტა ადრე მომხდარ სამრევლოთა და ეკლესიის კრებულთა შემოკლება. ამ უკანასკნელი ზომით სურდათ გაეუმჯობესებიათ სამღვდლოების ნივთიერი მდგომარეობა; მაგრამ ამ ზომის სისრულეში მოყვანამ მრავალ მიზეზთა გამო იქონია არა სანატრელი შედეგები: ზოგიერთი ეკლესიების მთლად დახურვამ და ზოგში ღვთის-მსახურების შეჩერებამ ცუდად იმოქმედა ლოცვა-ვედრების შეჩვეულ სამწყსოზღდ, რომელიც ამ ნაირად მოკლებული შეიქმნა, სხვა ეკლესიების სიზორისა გამო, ყოველივე ნუგეშს თავის სარწმუნოებრივ გრძობათა დასაკმაყოფილებლად. ამ სამწუხარო მოვლენათა გამო დახურული ეკლესიები ხელშეორედ გააღეს. რაც შეეხება სამღვდლოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობას, ამისათვის თან-და-თან ინახებიან სხვა-და-სხვა საშუალებანი.

მეორე უმთავრესი ზომა კონსტანტინე პეტრეს ძისა იყო აღდგინება და გავრცელება საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა. ამ დიდის და ფრიალ კეთილნაყოფიერი ზომის საფუძვლად დადებულ აზრს შეადგენდა სარწმუნოებრივ-ზნობრივი აღზრდის საჭიროება ჩვენი ხალხისათვის, რომელიც თვითონა გრძობდა ამ საჭიროებას და თვით ძველი დროიდგანვე უპირატესობას აძლევდა ეკლესიურ სწავლა-მეცნიერებას ეკლესიური წიგნების საშუალებით და სასულიერო მასწავლებელთა მეოხებით საერო სწავლა-განათლებლაზე, რომლიდანაც უმეტეს ნაწილად განდევნილ იყო სა-

რწმუნოებრივი ელემენტი. ამ სახით ახალი სკოლა ეთანხმება ხალხის არსებით მოთხოვნილებას და ძველი მართლ-მადიდებელი დაწყებითი სწავლის იდეალს და წარმოგვიდგენს იმ წყაროს, რომელიდამაც ხალხი შეძლებს მიიღოს მართლ-მადიდებელი სწავლა სარწმუნოებაზე და ქრისტიანულ ზნობაზე და სიყვარული მართლ-მადიდებელი ეკლესიის წეს-წყობილებისადმი. თუ რამოდენად თანაუგრძობს ხალხი ამ ახალ სკოლას, ეს სჩანს მრავალ იმ განჩინებისაგან, რომელთაც ადგენენ სოფლის საზოგადოებანი ამ სკოლის სასარგებლოდ და ერობათა მრავალი დადგენილობანი, რომელნიც სხარულთ გადასცემენ თავიანთ სკოლებს უწმიდეს სინოდთან არსებულს საეკლესიო-სამრევლო სკოლების რჩევას. ეს საზოგადოებანი და ერობანი არ ზოგვენ აგრეთვე ფულსაც ამ სკოლების შესანახავად და საეკლესიო-სამრევლო სკოლები დღითი-დღე მრავლდებიან და იზილვენ თავისკენ მრავალთა მოწაფეთა. როგორც სჩანს უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ანგარიშიდამ 1886 წ. საეკლესიო-სამრევლო სკოლათა რიცხვი აღედა 12,000-მდე. ხოლო მათში მოსწავლეთა რიცხვმა მიიწია 318,652. მაგრამ ამის შემდეგ ამ ორ უკანასკნელ წელში გაიხსნა მრავალი ახალი სკოლები და დღესაც მრავალი იხსნება.

კონსტანტინე პეტრეს ძე ერთის მხრით ხელს უწყობს საეკლესიო-სამრევლო სკოლების გამრავლების საქმეს, ხოლო მეორეს მხრით ყურადღებას აქცევს აგრეთვე თვით სამღვდლოების შესაფერს და ჯეროვანს აღზრდა-განათლებას. ამის გამო მან ძირეულად შეცვალა სასულიერო აკადემიათა, სემინარიათა და ოთხ-კლასიან სასწავლებელთა წესდებანი, რომელთაგან გამოირცხა ის ნაწილები, რომელნიც არ ეთანხმებოდენ სასულიერო განათლების იდეალს და სასულიერო წოდების ახალ თაობის აღზრდას. ეს ცვლილება მდგომარეობდა მასში, რომ ყველა სასულიერო სასწავლებლებში შემოღებულ იქმნა ეკლესიური მიმართულება, რომ ეკლესიის მწყემსნი ჯეროვანად მომზადებულიყვნენ სასწავლებელში მომავალი თავის მოღვაწეობისათვის. ამიტომ სასულიერო სასწავლებლების ახალი წესდებულებით 1884—85 წლებში შეცვლილი არის სწავლის წარმოების საქმე, ზოგი საგნები გამოირიცხენ სასწავლო კურსიდან, ხოლო მათ ნაცვლად შემოღებულნი არიან ახალნი და გაძლიერებულნი უწინდელნი. ამ მხრით განსაკუთრებით სასარგებლო ზომებად უნდა

ჩავსთვალოთ აკადემიების მეოთხე კურსში განყოფილებათა მოსპობა ღეთის მეტყველების სწავლის მსვლელობის გასაერთიანებლად და ამავე კურსში ისტორიის და მწვანელობის მხილების სწავლის გაძლიერება. ამასთან შემოღებულ იქმნა სემინარიებში სამკურნალო მეცნიერების სწავლება, ხოლო ოთხ კლასიან სასულიერო სასწავლებლებში გაძლიერებულ იქმნა რუსული ენის სწავლება. ამასთანავე ძირეულად შეცვლილ იქმნა აღზრდის საქმე სასულიერო სასწავლებლებში, რომლებშიაც გაძლიერებულ იქმნა თვალ-ყურის დევნა მაგირდებზე, რომელთაც კერძო ბინებზე შეუძლიათ იტხოვრონ მხოლოდ თავიანთ მშობლებთან.

ხალხის სარწმუნოებაში და კეთილ-მსახურებაში გასამტკიცებლად კონსტანტინე პეტრეს ძემ იხმარა ერთი ფრიად სასარგებლო ზომა; მისი განკარგულებით 1884 და 1885 წლებში მოხდენ სამღვდელ-მთავრო კრებანი. ამ კრებათ დიდის სიხარულით მიეგება მთელი რუსეთი როგორც ძველი მსოფლიო და რუსეთის ეკლესიის წმიდა ჩვეულების აღდგინებას, რომელიც მდგომარეობდა მასში, რომ სარწმუნოების და საეკლესიო საგნების გადაწყვეტა მოხდებოდა ხოლმე ეპისკოპოსების კრებათა საშუალებით. პირველი კრება მოხდა კიევში, ამ წმიდა ქალაქში, საიდგანაც მთელს რუსეთს მოეფინა ნათელი შრიტესი. ამ კრებაზე დაესწრნ თერთმეტი მღვდელ-მთავარი, რომელთაც, სხვათა შორის, მჯელობა ჰქონდათ სამღვდლოების მნიშვნელობის და მის სარწმუნოებრივ-ზნობრივ ხალხზე გავლენის გაძლიერების შესახებ. მეორე ამ გვარი კრება მოხდა ყაზანში, სადაც შეიკრიბა ათი მღვდელ-მთავარი, რომელთაც მჯელობა ჰქონდათ ადგილობრივ მკვიდრთა სარწმუნოებრივ-ზნობრივ ნაკლთა გასწორებაზე. და ბოლოს უკანასკნელი კრება მოხდა ირკუტსკში, სადაც შეიკრიბა შეიდი მღვდელ-მთავარი; ამ მღვდელ-მთავრებს მსჯელობა ჰქონდათ მათდამი რწმუნებული ეპარქიების მკვიდრთა კეთილ-განწყობილებაზე და მისიონერულ მოღვაწეობის გაძლიერების შესახებ ადგილობრივ წარმართა შორის და იმ ადგილებში, სადაც მწვანელობა არის გავრცელებული.

შველა ამ კრებათა შედეგი იყო სამწყსო მოწოდებანი, რომლებიც დაიბეჭდა და გაიგზავნა ხალხში გასაერთიანებლად და განკარგულებანი ცენტრალური საეკლესიო მთავრობისა.

მსეთი არიან სასულიერო უწყებაში უმთავრესი ზომანი, რომელნიც ხმარებულ იქმნენ კონსტანტინე პეტრეს ძის შთაგონებით და განკარგულებით. აქ არ ვიხსენიებთ სხვა ზომათა, როგორნიც არიან მაგალითებ: საეკლესიო ქადაგების გაძლიერება, გავრცელება ღეთის-მსახურების გარეშე საუბართა, ეკლესიური მსახურების გამშენიერება, გაუმჯობესობა საეკლესიო გალობისა, გავრცელება ხალხში სასულიერო-ზნობრივი შინაჯის წიგნებისა და წიგნაკებისა, ძმობათა და სხვა საეკლესიო დაწესებულებათა დაწესება და სხვა. შველა ამ მოღვაწეობათა ვრცელი აღწერა შეუძლებელია გაზეთში, ვინაიდგან უმაღლესს წერტილამდე არის ასული ენერგიული და ნაყოფიერი მოღვაწეობა კონსტანტინე პეტრეს ძისა. მის ხელში ეკლესიურ ცხოვრებას ნამეტანი სიცოცხლე დატეო და არ მოინახება არც ერთი კუნძული ეკლესიური მოღვაწეობისა, რომელიც დაეწყებაში დარჩენილიყო. ეკლესიური ცხოვრება დღეს წყაროს თვალთვითა სცემს და შემდეგში კიდევ უფრო ბევრს მოველით, რადგან კონსტანტინე პეტრეს ძემ თავის ცხრა წლის ობერ-პროკურორის თანამდებობაზე სამსახურით დაამტკიცა თავის შემუშავებული და უცვალვებელი ერთგულება იმ დედა აზრთადმი, რომელნიც მან საძირკვლად დაუდგა თავის მოღვაწეობას ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ.

და ესრეთი დაფასება კონსტანტინე პეტრეს ძის ნიჭისა და მოღვაწეობისა ჩვენ არ გვეკუთვნის: იგი წარმოითქვა თვით ტახტიდამ. უმაღლეს რესკრიპტში 1 იანვარს 1888 წელსა, ხელმწიფე იმპერატორმა აღნიშნა რა კონსტანტინე პეტრეს ძის წარჩინებული ერთგულება ტახტისადმი და მხურვალე გულ-მოდგინება მამულის სარგებლობისათვის, ამასთანავე გვაუწყა, რომ მისი შრომით საესე სამსახური სამოსამართლო უწყებაში, ხანგრძლივი მონაწილეობა სახელმწიფო ჩივის სხვა-და-სხვა რთულს საქმეებში და გვრეთვე უკანასკნელ წლებში უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის მძიმე მოვალეობათა, ყოველთვის აღბეჭდილ იყო მოვალეობის მტკიცე შეგნებითა და



შეურყვევლის მისწრაფებით დასაცველად ხალხის ცხოვრების კეთილ-დღეობისა, დასასრულ ხელმწიფე იმპერატორი უწოდებს ქონსტანტინე პეტრეს ძეს მართლ-მადიდებელი ეკლესიის საიმედო დამცველს.

ჩვენის შხრით ვისურვებთ ქონსტანტინე პეტრეს ძისათვის ახალს და ახალს ძალ-ღონეს, რათა მან განაგრძოს თავისი ღირსეული სამსახური ეკლესიისა და მამულისადმი.

სოხუმის ახალი მისკოპოსი, ყოვლად სამღვდლო აღმესანდრე.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება დამტკიცება უწმიდესი სინოდის მოხსენებისა ვლადიმეროვლინის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტის ალექსანდრეს სოხუმის ეპისკოპოსად დანიშნაზე.

აქ საქიროდ ვრაცხთ ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები მოვიყენოთ სოხუმის ახალს ეპისკოპოზზედ. ყოვლად სამღვდლო აღმესანდრე არის სარატოვის გუბერნიის მკვიდრი, ერის კაცობაში უწოდებდნენ ანდრიას ძეს ხოვანსკის. როცა მან სწავლა დაამთავრა სარატოვის სასულიერო სემინარიაში, ახალგაზდა სტუდენტი სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომელშიაც მან შეასრულა სწავლა 1850 წელში კანდიდატის ხარისხით. აკადემიაში კურსის შესრულებისათანავე იგი დანიშნა მასწავლებლად სარატოვის სემინარიაში, სადაც ასწავლიდა ლოლიკას და პსიხოლოგიას. 50 წლის დამლევს ახალგაზდა მასწავლებელი, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში მოიპოვა მოწაფეების სიყვარული და პატივის ცემა, დამქვრივდა და შედგა ბერად, სახელად ეწოდა ალექსანდრე; იგი დანიშნა იმავე სემინარიის ინსპექტორად. ამ დროს ამ სემინარიაში რექტორად იყო არქიმანდრიტი ნიკანორი, დღეს ხერსონის მთავარ-ეპისკოპოსი; როცა მ. ნიკანორმა თავი დაანება რექტორობას, არქიმანდრიტი ალექსანდრე იქმნა დანიშნული რექტორის თანამდებობის აღმასრულებლად. შემდეგ იგი დანიშნა პერმის და

სტრახანის სემინარიის რექტორად. ასტრახანიდამ არქიმანდრიტი ალექსანდრე გადავიდა სამხრეთ რუსეთში და დანიშნა ხერსონის პირველი რიგის მიძინების მონასტრის წინამძღვრად კრიმში, ხოლო შემდეგ დანიშნა ვლადიმეროვლინის მონასტრის წინამძღვრად. ამადგილიდგან არქიმანდრიტი ალექსანდრე დანიშნა სოხუმის ეპისკოპოსად. იგი არის დღეს 66 წლისა.

სარატოვში, პერმში და ასტრახანში ცხოვრების დროს არქიმანდრიტი ალექსანდრე იყო ადგილობრივ ეპარქიალურ უწყებათა რედაქტორად. ამ გაზეთებში ბლომად იბეჭდებოდნენ მისი საკუთარი სტატიები, უმთავრესად ღვთის-მეტყველების და პოლემიკური შინაარსისანი. როგორც მქადაგებელი, არქიმანდრიტი ალექსანდრე არ არის მოკლებული მქადაგებლობითი ნიჭსაც.

წარსული თვის მაისის 24 არქიმანდრიტი ალექსანდრე იქმნა წოდებული ეპისკოპოსად პეტერბურგში უწმიდესი სინოდის ეკლესიაში, ხოლო მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა მოხდა 29 მაისს, ორშაბათს, სული წმიდის დღეს.

სოხუმის ახალ ეპისკოპოსს ალექსანდრეს აქვს ვლადიმის ორდენი მესამე ხარისხისა.

პასუხი მ. ბენედიქტმს (ბარკალაიას).

ბრა ერთ გზის ყოფილა «მწყემსში» დაბეჭდილი სტატიები ზოგიერთ საეჭვო პირთა მოქმედების შესახებ, რომელნიც ხან ათონის მთის მონასტრების და ხან შესანიშნავი ეკლესიების და ძველი ტაძრების სახელით დიდ ფულებს აგროვებენ თავიანთ სასარგებლოდ და ამ ნიშნად ატყუებენ მორწმუნე ქრისტიანებს. ასეთი ბოროტი პირები ნამეტნავად გაგრცელდნენ მაინც ამ ბოლოს დროს. შიდაცა იასაულებად, მივიტნებად, ლაქიებად და მეყასბებად ნამყოფი პირები თვალთ-მაქცობით ხალხს კეთილ-მორწმუნე პირებად ყჩვენებთან, პატრიოტობას მეტიარობენ, მონასტრების და ტაძრების შემამკობლებად და მზრუნველებად იგრიხებიან და ამ ნაირი სხვა-და-სხვა ოსტატობით ატყუებენ საზოგადოებას და ლუკმა პურს



ართმევენ პირიღვან. ზოგი ბერობს, ზოგი მწირ-ბერობს, ზოგი მღვდელობს და ზოგი დიაკვნობს, როდესაც მათ საღმრთო წერილის სრულებით არა გაეგებათ რა და ზოგიერთი მათგანი სრულებით არაფისგან ნაკურთხი არ არის.

ამას წინაღ ხევენ ვაცნობეთ, «მწყემსის» მკითხველებს, რომ ვილაცა ურიაც კი ჰკრებავდა შეწირულებას, ვითომ და ათონის მთის სასარგებლოდ. ჩვენ გამოვსთქვით მწარე ფიქრებში ამისთანა პირების საქციელი და ოსტატური მოქმედება, მაგრამ ჩვენ ამ პირების არც სახელი, არც გვარი და არც წოდება არ დაგვისახელებია. ჩვენდა გასაკვირვლად, «ივერიის» № 71 ჩვენ წავიკითხეთ მ. ბენედიქტეს დიდი გაჭრელებული თავის გასამართლებელი წერილი; ამ წერილმა ჩვენ ძლიერ გავგავკვირვა. ჩვენ ნაწერებში სრულებით ხსენება არ ყოფილა ბენედიქტეს და რატომ მიიღო მან თავის თავზე ის, რასაც ვსწერდით ცუდ და ხალხის მატყუარა პირებზედ, სწორედ ძლიერ დასაფიქრებელია. მ. ბენედიქტე თავის წერილში ამბობს, რომ ეს პირი, ეს აშინოვი მე ვარო, ჩემზედ ამბობენ ამას ყველას და ამისთვის იძულებული ვარ ჰქვამატება აღვადგინო და დაუმტკიცო ხალხს, რომ რაც ფულები მომიბოჭნია, ყველანი კარგად მომიხმარია, და სხვა და სხვა... ამასთან ჩვენ ძლიერ გვიკვირს, რომ ბენედიქტემ თავის გამართლება გაზეთ «ივერიაში» გაგზავნა. შეკეთესი არ იყო, რომ თავის გამართლება პირდაპირ იქ გაგზავნა, სადაც დაბეჭდილი იყო მის შესახებ? ბენედიქტე რომ ასე მოქცეულიყო, მაშინ მის პასუხზე პასუხი აღარ იყო საჭირო. მხლაკი საჭიროა მისი წერილი გადმოგეტყლოთ ჩვენს გაზეთში და ჯეროვანი პასუხი მიესცეთ მასს ყოველ სიტყვაზე. პასუხს ვაძლევთ არა მის თავის გამართლებას, რადგან «მწყემსში» ბენედიქტეს სახელის ხსენებაც კი არ იყო, რასაც თვითონ არ სცნობს მ. ბენედიქტე თავის თავს დამნაშავედ... თუ მ. ბენედიქტე დაწვლილებით ანგარიშს მისცემს საზოგადოებას ათონის «ივერიის» მონასტრის სასარგებლოდ შეკრებილ ფულებზე, რასაკვირველია, ყოველივე ეჭვს გააქარწყლებს. უამისოდ ძნელია თავის გამართლება. ჩვენ გვინდა გავსცეთ მ. ბენედიქტეს პასუხი სულ სხვა საგნების შესახებ, რომელნიც მისმა წერილმა აღძრა სალაპარაკოდ.

«ამას წინაღ, სწერს ბენედიქტე თავის გამართლებაში, 28 ფებრვალს, დაბეჭდილი იყო ერთი წერილი გაზეთ «მწყემსში», რომლის ავტორი ჩემს მო-

ქმედებას აღარებდა აშინოვისას. ამ სახით მე მატყუარად და ქვეყნის მკარცველად გამომსახა».

«მწყემსის» წერილის ავტორი მე შინაურ აშინოვად მრაცხს. ამ იმისი სიტყვები: «მეორე აშინოვი რუსეთის ვრცელ სახელმწიფოში ერთი კუთხიღვან მეორე კუთხეში გარბის-გამორბის, ხატი ჰკილია გულზედ, აგროვებს, ფულებს, ჰპირდება ხალხს საქართველოს შემოუფერთებ ნახევარს ქონსტანტინეპოლს დარდანელის სრუტით, ხალკილონიას, მაკედონიას და თესლონიკეს ათონის მითთ. ამავე დროს რუსებს რას ჰპირდება, ვინ მოსთელის, და მატყუარობით მოგროვილი ფულებით ჰყიდულობს თავის ნათესავების სახელზედ წისკვილებსა და მამულებს».

დიდება შენთვის, ღმერთო! ძლიერ გვიკვირს, როგორც შემოთა ვსთქვით, თუ რათ მიიღო თავის თავზედ ბენედიქტემ ყველა ის, რასაც ვსწერდით ჩვენ სხვა და სხვა გაიძვერა პირებზე, რომელნიც ხალხს ყვლეფენ და მათი შენაწორი ფულებით ფარფაშობენ. ბენედიქტეს სახელი და ვინაობა ხომ სრულიად არ ყოფილა «მწყემსის» სტატიებში. მ. ბენედიქტეს საქციელი ამ შემთხვევაში სწორედ ერთ რუსულ ანდაზას მოგვაგონებს.

«მე როგორადაც მოხუცებული ბერი, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უდგას, არად ესასოებ სოფლიურს დიდებასა და ჯილდოს და მეფულებების წარდგომა საშინელისა და პირუთენელის მსაჯულისა წინაშე მაცხოვრისა ჩემისა ქრისტემღვთისა, რომელიც მიაგებს კაცად კაცადსა საქმეთა მათთაებრ სახელისა მისისათვის, ნეტარებად ესთელი ტანჯვასა და არ მეწყინება ცილის-მწამებელთაგან გინება და ლანძღვა».

მართალს ბრძანებს მამა ბენედიქტე, მაგრამ ძლიერ გვაკვირვებს მისი სიტყვები და საქციელი. შოველ ბერს აღკრძალული აქვს ერისკაცობაში მიღებული ნიშნის და ჯილდოს ტარება და მ. ბენედიქტე, რომელიც «არაფრად არ ადგებს ნივთიერ ჯილდოს», მენდლების და სალდათის ჯვარის ტარებას ვერ გამოთხოვებია! რაიცა შეეხება მას, რომ მ. ბენედიქტე და სხვანიც პასუხს აგებენ საშინელს განსჯაზე საქმეთაებრ თვისთა, ამაში ეჭვი ჩვენ არასოდეს არ გვექონია და სრულებით არ იყო საჭირო ამოდენა წერილის გაჭრელება «ივერიაში». ბენედიქტე თუმცა ამბობს, რომ ცილის წამება და ლანძღვა მას ნეტარებად მიაჩნია და არა სწყინს, მაგრამ საქმით კი სულ სხვას ჩადის და თავის თავსაც ბევრ თავი სუ-



ფლებას აძლევს. მის საჩივრებზე და დანაშაულებზე ჯერ
რეთ კიდევ არასფერს არ ვიტყვი.

«მწყემსს» რომ დაეწერა, 24 წელიწადია ვენე-
ლიტე ბერი სკდილობს დაუბრუნოს ქართველებს
თავისის უძრავის ქონებით ივერიელთა საკუთრება—
ივერიის მონასტერი, რომელიც აღშენებულია
წმ. ათონის მთაზე, ეს-კი მართალი იქნებოდა.“

უკაცრავად ვართ მ. ბენედიქტუსთან, რომ თანა-
ხმად მისი სურვილისა არა ვსთქვით, რომ მ. ბენედიქ-
ტე ცდილობს ათონის, სინას მთის და იერუსალიმის
ქართველთა მონასტრები დაუბრუნოს თავის მამულებით
ქართველებსა-თქო. მ. ბენედიქტე, თქვენ იქნება
სხვაც ბერი რამ გსურდესთ გულში და გნებავდესთ
გაქონ ამ თქვენის სურვილისათვის, მაგრამ ბეჭდვითი
სიტყვა ვერ აქვს კაცს ბრალიან-და-უბრალოდ, თუ
რამე კანონიერი საბუთი არა აქვს კაცის ქებასა...
ვისაც საქმე არ ესმის კარგად, მართლა დაგიჯერებს
თქვენ იმას, რასაც ლაპარაკობთ და რასაც აწერინე-
ბთ ხოლმე გაზეთებში სხვა-და-სხვა პირებს შესახებ
ათონის ივერიის მონასტრის ამოგებისა თავისი მამუ-
ლებით. მისაც საქმე ესმის და გაეგება რამე, იმას სი-
ცილს მოგვრის თქვენი ჰაერზე ხილის და ცხივების შე-
ნება. საქმე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თქ-
ვენთვის პირადათ ყოველად სასარგებლოა ყველა ამი-
სთანა დაპირება და ვეჭილად წოდება, რომელი წო-
დებაც ძლიერ საეჭვოა ჩვენის აზრით. ათონის მთა
ისეთი ადგილია, რომელზედაც ყველა მართლ-მადი-
დებელ ხალხს შეუძლია მონასტერი გაიკეთოს და
ბერათაც შედგეს. არ ვაგონილა ჯერეთ, რომ ვინმე
ბერათ წასულიყო ათონზე და იქ უარი ეთქვასთ მის
მიღებაზედ, ოღონდ კი იგი დაემორჩილოს ათონის
მთის მონასტრის წესდებულებას და მტკიცედ აღა-
რულიოს იგი. მაგრამ, ესთქვათ მაგალითად, ათონის
მთის რომელიმე მონასტრის წინამძღვრად, ანუ ბერად
არიცხებოდეს კაცი და ქუთაისში მამულებს იძენდეს
და ერის კაცების მგავსად დროებას ატარებდეს და
ქეფობდეს. ეს, რასაკვირველია, წინააღმდეგია ათო-
ნის მთის და ჩვენი მონასტრების წესდებულებისა...
ბავიგეთ და შევიტყეთ, რომ ივერიის მონასტე-
რი ათონის მთაზე ქართველებისაგან ყოფილა დაარ-
ებული, ისიც მეცხრესაუკუნეში, მაგრამ მარტო ის
არ კმარა, რომ დღეს იქ მცხოვრები ბერები გაჰყა-
ნონ და მ. ბენედიქტეს ჩააბარონ. იმ დროს, როდეს-
აც ათონის მთაზე მონასტერი იყო დაარსებული,

რუსეთში კიდევ არ ყოფილა ქრისტიანობა. დღეს
რუსეთის ბერების მონასტრები თითქმის ყველა და-
ნარჩენ ხალხის მონასტრებზედ უმჯობეს მდგომარე-
ობაში არიან. მის აქვს უფლება უთხრას მათ დღეს:
წადით აქედამ და რაც გაგიკეთებიათ, ჩვენ დაგი-
ტოვებო? არავის. მართალია, ქართველებისაგან ყოფი-
ლა დაარსებული ათონზე მონასტერი, მაგრამ ვინ არ
იციის, რომ ქართველებს იერუსალიმში და სინას
მთაზედაც კი ჰქონებიათ მონასტრები. მართი მონას-
ტერი იერუსალიმში მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში
დაუტოვებიათ და მაშინდელ პატრიარქს იგი ჩაუბარებია
ბერძნის ბერებისათვის იმ პირობით, რომ, თუ ვინ ი-
ცობაა ოდესმე ქართველების ბერები მოვიდნენ აქაო,
უკანვე დაებრუნებიათ მონასტერი. ჩვენ ძლიერ გვი-
კვირს, რომ ბენედიქტემ ამხედდაც არ აღძრა საქმე და
ამით დიდი სახელი არ მოიხვეჭა ქართველ საზოგა-
დოებაში... რატომ არავენ მიდის ჩვენგან და არ იბა-
რებს ამ მონასტერს? არა, მ. ბენედიქტე, თქვენ არც
არაფერი ამოგიგიათ საქართველოსათვის და ვერც არა-
ფერს ამოგიგებთ ათონის მთაზე. მ. ბენედიქტე იჩე-
მებს ხოლმე ჩვენ ბერებთან, რომ იგი სულ ამოი-
გებს ქართველთა მონასტრების სასარგებლოდ, რაც
მამულები აქვსთ ჩვენში ბერძნის სამშლვარ გარეშე
მონასტრებს. ამხედ მეტი სასაცილო კვებნა და ტყუ-
ილი დაპირება იქნება?! საკვირველი ის არის, რომ
ამისთანა აზრებს გაზეთებშიაც აბეჭდვინებს
იგი, მაგრამ ვის რა ენაღვლება, ფულით თუ ისარ-
გებლებენ...

ტყვილა არწმუნებთ ყველას, მ. ბენედიქტე, ვითომც
უკანასკნელ ხანებში ქართველი ბერების ხსენება არ-
ყოფილა ათონზე, ვიდრემდის თქვენ არ მიიყვანეთ აქე-
დამ და არ შეკრიბეთ ქართველი ძმანი. მართელი
ბერები ყოველთვის ყოფილან ათონის მთაზედ თქვე-
ნამდისაც. სად ბრძანდებოდათ თქვენ, როდესაც ათ-
ონზე ბერათ იყო ჩვენი გამოჩენილი შესანიშნავი
ილარიონ ყანჩაველი, რომელიც 1864 წელში გარ-
დიცვალა. დღესაც ხომ კი არიან ქართველი ბერები
ათონზე, მაგრამ იმათი წინამძღვრები ქუთაისში კი
არ სცხოვრებენ, არამედ თავიანთ მონასტრებშივე.
იგინი ისე არ შორდებიან მონასტრებს, როგორც
დღეა ფუტკარი არ შორდება თავის სკას...

«რადგან ჩემს აშენებულს საფანეში სცხოვრებენ
ქართველი ბერები, სხვათა მონასტერთა და საფანეთა
ათონისათა ყოველთა ძმათა თავის სამშობლოში



აქვს ნავთსაყუდელი; თვით რუსებსაც აქვთ ჩვენში ნავთსაყუდელი ძმათათვის. მეც მთავრობას ვსთხოვე მოეცა ჩემთვის ძველი ხოპის მონასტერი სამეგრელოში, ზღვის პირის მახლობლად, რომ ეს მონასტერი ჩვენ ძმათა ჰქონოდათ ნავთსაყუდელად სამშობლოში. ათონის მონასტრიდან ხოპის მონასტერში გაერცელდებოდა მისელა-მოსელა. ვისაც ათონში წასვლა არ შეეძლებოდა, იგი ხოპის მონასტერში იზოვიდა საეკლესიო წესსა, გალობასა და მსახურებაში დახელოვნებულს ბერებს, და მთელს კუთხეს საუნჯედ შეექმნებოდა ეს ადგილი. მეც მივმართე მთავრობას და მოვახსენე, რომ აუცილებლად საჭიროა ეს ხოპის მონასტერი განსამტკიცებლად. ბეთქი და ამ ორთა შორის სულიერის კავშირისა, მაგრამ მამა არქიმანდრიტმა ხოფის მონასტრისამ არ ისურვა. გაზეთმა «მწყემსმა» პირველ მარხვის კვირაში ნაცულად კეთილის მოქმედებისა ჩაშალა ჩემი განზრახვა».

აქ რალაცას თქმა უნდა მ. ბენედიქტეს, მაგრამ ან ვერ გამოუთქვამს, ან განგებ ბლანდაეს სიტყვებს, რომ ყველას ესმოდეს სიტყვები, მაგრამ ნამდვილი აზრი ვერაინ გაიგოს. დააკვირდით კარგად: «რადგან ჩემს აღშენებულს საფანეში სცხოვრებენ ქართველი ბერები, ყველა ძმათა თავის სამშობლოში აქვს ნავთსაყუდელი და რუსებსაც აქვს ჩვენში ამისთანა ნავთსაყუდელი ძმათათვისა». რა უნდა ნეტავი, მ. ბ.—ს ამ სიტყვებით? კაცი თუ ბერათ შემდგარა ათონზედ, თავის სამშობლოში რა ნავთსაყუდელი უნდა ჰქონდეს? «მეც მთავრობას ვსთხოვე მოეცა ჩემთვის ძველი ხოპის მონასტერი, ზღვისპირის მახლობლად, რომ ეს მონასტერი ჩვენ ძმათა ჰქონოდათ ნავთსაყუდელად სამშობლოში. ათონის მონასტრიდან ხოპის მონასტერში გაერცელდებოდა მისელა-მოსელა. მისაც ათონში არ შეეძლო წასვლა, ხოპის მონასტერში «იზოვიდა საეკლესიო წესსა, გალობასა და დახელოვნებულ ბერებსა!». ამისთვის მეც მივმართე მართებლობას და ვსთხოვე მოეცა ჩემთვის ხოპის მონასტერი...».

მ. ბენედიქტეს (ბარკალაიას) რუსის ბერებისათვის მიუბაძავს, მაგრამ ძლიერ მოტყუებულია. რუსის ათონის ბერები ბენედიქტესავით როდი მოქცეულან. რუსის ათონის ბერებმა დაიარეს 1875 წელში აფხაზეთი, ნახეს ძველი ერთ დროს შესანიშნავი, მაგრამ იმ დღეს გავერნებული მონასტრები, რომლებშიაც მელამურების

მეტი არაინ ყოფილა. სთხოვეს მათ რუსეთის მართებლობას მიეცათ მათთვის ეს მონასტრები ადგილებით. მართებლობამ მისცა მათ ეს მონასტრები თავისუფალი ადგილებით. ათონის მონასტრის ფულებით და ზოგი სხვა შეწირულებებით ისე გაამშენეს მათ ეს გავერნებული მონასტრები, როგორც დღეს ვხედავთ მათ ჩვენ. მ. ბენედიქტეც, თავისი აზრით, ვითომ ასე მოიქცა და სთხოვა სინოდს: მეც მომეცით ხოპის ძველი გავერნებული მონასტერიო, რომელიც ახალი ათონის მონასტერავით ზღვისპირას არისო (!!); თუ მე გადმომეცა ეს მონასტერი, ქრისტეანობა მალე მოიკიდებს ფეხს ხოპის გარეშემოვო. მ. ბ.—ტეს ხოპის მონასტერი გავერნებულ მონასტრების რიცხვში შეურიცხავს, ზღვისპირად მდებარედ და გარეშემო ხალხი ველურ ხალხად...».

ამ მონასტრის წინამძღვარი და ბერები გაადგეთ და მე მომეცით იგი თავისი ძვირფასი ნაწილებითო. ბენედიქტეს რომ მთავრობისათვის მოეხსენებია, ეს მონასტერი შტატის წყობილებით დამტკიცებულია შტატად და იქ წინამძღვარი და ბერები სცხოვრებენ და არცასე ახლოს არის ზღვაზედო, მაშინ მის თხოვნას სულ სხვა მსგელობა მიეცემოდა, მაგრამ ამას როგორ იტყოდა! მ. ბენედიქტეს კიდევ ვერ გაუგია, ვგონებთ, რომ რუსების ათონის მონასტრებს პანტელიმონისას და ანდრიასას თუმცა აქვს საფანეები სხვა-და-სხვა ადგილას რუსეთში, იგინი დიდ ფულსაც ხარჯვენ საფანების აგებაზე. ათონის წმიდა მოციქულის ანდრიას მონასტრის საფანის (подворье) აღშენებაზე ოდესის ქალაქში ორას ორმოცდაათი ათასი მანეთი არის დახარჯული. ახალი ათონის, სიმონ კანანელის მონასტრის შენობებზედ რამოდენი ათასი მილის, ვინ მოსთვლის. მრთი სიტყვით, ცხოვრების და არსებობის ძალა ათონის მონასტრების საფანებისა ათონიდანვე გამოდის და თავი წყაროც იქვეა. მ. ბენედიქტეს კი ნაცულად ამოგებისა და შეძენისა, როგორც ამას, ამოდენი ხანია, ჰპირდება ხალხს, თვით პირიქით უნდა, საქართველოს წაართვას ერთადერთი უკეთესი მონასტერი და მის ნაცულად ჰპირდება საზოგადოებას «წესსა, გალობას და ღვთის-მსახურებაში დახელოვნებულს ბერებსა». ძლიერ გასაკვირველია! ოცდაოთხი წლის განმავლობაში ბერათ მყოფმა და ათონის ივერიის საფანის წინამძღვარმა თუ ვერ შეისწავლა წესი, გალობა და საღმრთო წერილი, როგორ უნდა მოეითხოვოთ სხვა ბერებისაგან.



წესის, გალობის და ღვთის-მსახურებაში დახელოვნება? ვინც მიჰყავს საქართველოდგან მ. ბენედიქტეს ათონში ბერათ, ანუ მწირ-ბერად, ყველანი თითქმის ჩვენებურ გლეხკაცებთაგანი არიან. მაშა სადამე ვისგან უნდა შეისწავლონ ამათ გალობა, ტიბიკონი და საღმრთო მსახურების წესები? რასაკვირველია, ისევ აქაურებისაგან. მაშასადამე ბენედიქტეს დაპირება: «ვისაც ათონში წასვლა არ შეეძლება, მას შეუძლია ხოპის მონასტერში მოვიდეს და აქ დაიტკბოს სასმენელი მშვენიერი ქართული გალობით და შეისწავლოს საღმრთო მოქმედების წესთ-წყობილებაო, ისეთი უსაფუძვლო და უადგილო დაპირება და კვებნა არის, რომ არა თუ გაზეთში დაბეჭდვა, უბრალო ლაპარაკშიაც არ უნდა გაბედოს მან ამისი თქმა...»

თუ ათონის რუსის ბერების წახედვა სურდა ბენედიქტეს, მაშინ ის უნდა მიქცეულიყო მთავრობისადმი და ეთხოვნა ერთი რომელიმე ძველი მონასტერი ახლად შემოკრთებულ აჭარაში. აქ მონასტრის დაარსება, რასაკვირველია, დიდს სარგებლობას მოუტანდა ქრისტიანობის აღდგინებისა და გავრცელების საქმეს, თორემ ხოპი თითქმის შუაგულ სამეგრელოშია და ქრისტიანობა აქ პირველი საუკუნეებიდგან არსებობს.

ჩვენ ძლიერ გვიკვირს, რომ მ. ბენედიქტემ ივერიის ათონის მონასტრის ძმათა საეანეთ გელათის მონასტერი არ მოითხოვა. ზელათში უფრო არ გაუადვილდებოდათ მისვლა, ვინც ისურვებდა მ. ბენედიქტეს ტკბილ გალობის მოსმენას და კარგად დაწყობილი ტიბიკონის და საღმრთო წერილის შესწავლას?!

თქვენ, ბ. ბენედიქტე, დიდის მჭევრ-მეტყველობით მოუთხარით აგერ წინაზედ ჩვენ თავად-აზნაურთა კრებას თქვენი დიდი ღვაწლი და შრომა, ჩადენილი ათონზედ ივერიის ქართველთა საეანის დაარსების შესახებ და, მართლა, საზოგადოებამაც მოიწონა თქვენი საქციელი და შემწეობის მოცემას დაგპირდა, მაგრამ საზოგადოებამ ვერ გაიგო და ვერ გამოიკვლია კარგად თქვენი მიზანი და ამისათვის ამ საგნის შესახებ ბევრი უსაფუძვლო აზრები წარმოითქვა და დაიბეჭდა კიდევ ადგილობრით გაზეთებში. ათონზედ ქართველების მონასტრის დასაარსებლად ფულის შეწირვა და ხარჯის გამოღება (და თქვენ ხომ კარგა ბლომად შეჰკრიბეთ შესაწირავი და ჰკრებთ კიდევ), მართალი უნდა გითხრათ, ყოვლად უმნიშვნელო და ფუჭად მიგვაჩნია. მრთი მიბრძა-

ნეთ, თუ ღმერთი გრწამსთ, ჩვენ რა მონასტრები უნდა ავაშენოთ ათონზე და საიღამ უნდა ვარჩინოთ იქ ბერები, როდესაც შუაგულ საქართველოში პირველი და შესანიშნავი მონასტრები თავზედ გვექცევა სიღარიბისა და დაუღვევრობისა გამო და მათი შეკეთება და გამშვენება ვერ მოგვიხერხებია? რა დროსია ათონზედ ბერების გაგზავნა, როდესაც აქაური მონასტრებიც ლამის დაიხუროს ბერების სიმცირისა გამო. არ გაგიგონიათ: «შინ რომ ბავშვებს შიოდეს, ტაბლას გარეთ რა უნდაო»? ჩვენს საზოგადოებას და ჩვენ ადგილობრივ გაზეთებს ეს არ ესმისთ და მოჰყვებიან ბრალიან და უბრალოდ კაცის ქებას და ღიღებას. რას ჰგავს: კაცს პირიღამ ლუკმა გამოსტაცო და მით ოთხიოდე კაცი, თათრების ქვეყანაში გაუჭირვლად გადახ-ეწილნი, გამოკვებო?... ნეტავი როდის გაახელს ჩვენი საზოგადოება თვალს და როდეს დაინახავს საგნებს პირ-და-პირ შეუცთომლად... თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენთვის სასიამოვნო და სანატრელი არ იყოს სამზღვარ გარედაც ათონზე და სინას მთაზედ მონასტრების ქონება. არ იფიქროთ, რომ ჩვენ არ გვესმოდეს დიდი მნიშვნელობა და კეთილი გავლენა ხალხზე მონასტრებისა. არა;—ჩვენ სულით და გულით ვსწუხვართ მონასტრების შემცირებას, მაგრამ მართალი უნდა გითხრათ, სრულუბრით ჩვენ არაფერს არ გვიქადის და არავითარს სარგებლობას არ მოუტანს ჩვენს მამულს სამეგრელოდამ რამოდენიმე პირის სათათრეთში გადახვეწა იმ აზრით, რომ მერე იქიდგან თავიანთ სარჩოსათვის ხალხი შეაწუხონ. ჩვენს მონასტრებს ათონის და სინას მთაზედ და იერუსალიმში მაშინ ჰქონდათ მნიშვნელობა, როდესაც ჩვენ ქვეყანას ქართველი მეფეები განაგებდენ. ამისთანა ისტორიული მნიშვნელობა რომ ვილაცა ბარკალაებმა აღუღვიონ ჩვენ ხალხს, როგორც ამას ჰპირდებიან იგინი, ჩვენ არ ვერწამს და არასოდეს არ ვერწმუნებით. სამეგრელოდამ წარსული კაცი სათათრეთში გვიპირდება მშვენიერი გაწყობილი ტიბიკონის სწავლას, საღმრთო წერილის კითხვას და საუცხოვო ტკბილ გალობას შემოვიღებ და გავავრცელებ საქართველოშიო, როდესაც დავბრუნდები იქიდანაო. მოდი და დაუჯერეთ ახლა ამას!

დეკ. დავით დამბაშიძე.

(დასასრული შემდეგ).

ხმა რაჭის მღვდლისა.

თითოეულს ჩვენგანს კარგათ გავგონება ის საჩივარი და საკვედური, რომლებიც მიმართულნი არიან ჩვენი ეხლანდელი სამღვდლოებრისადმი. დიდი და მცირე, მდიდარი და ღარიბი, სწავლული და უსწავლეელი გაიძახიან: «ჩვენ არა გვყავს ხერხიანი სამღვდლოება, რომელსაც შეეძლოს ჩვენი ზნეობისა და გონების გაუმჯობესობა და გაუაქიზება; და ჩვენი სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაო; თითოეული მათგანი წასულა მღვდლად არა ნამდვილი მოწოდებით, არამედ თავის ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მღვდლოებას ისინი სიმდიდრის წაროდ რაცხვენ. თავისი დანიშნულება სრულიად არ ესმისთო და სხვანი... მაგრამ შეიძლება თუ არა გვყავდეს დღევანდელზე უკეთესი სამღვდლოება იმ პირობათა შორის, რომელშიაც აწ ჩვენი სამღვდლოება და მათი სამრევლოები არიან ჩამდგარნი? ჩემის ფიქრით არ შეიძლება.—და რატომ, მოკახსენებთ: იმერეთში საზოგადოთ და კერძოთ ჩვენს რაქაში, თითოეულ სამრევლოს შეადგენს 50—60 კომლი, რომელსაც ჰყავს თავისი საკუთარი მღვდელი; ზოგიერთ ამ მღვდლებს, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, თავიანთი დანიშნულება ძლიერ ცუდათ ესმისთ; ეს მღვდლები ცოლ-შვილით დატვირთულები არიან და თავის ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ თავის მცირე მრევლს ძლიერ აწუხებენ. დამერწმუნე, მკითხველო, რომ ასეთ მცირე სამრევლოებში არც ერთი პატიოსანი და ქვეყნის გულშემატკივარი პირი არ წაეა მღვდლათ. შიველი პატიოსანი და გულწრფელი კაცი თავის დღეში არ იკადრებს უმისოთაც გათახსირებული და გაღატაკებული ხალხის კისერზედ სარჩენად დაწოლას. მართალია, რომ ყოველი პატიოსანი და ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივარი კაცი უანგაროთ, უსასყიდლოთ უნდა ესახუროს ღმერთსაცა და ქვეყანასაც, მაგრამ აგეთი თეორია ცხოვრებაში ძნელი გასახორციელებელია; აკეთი სისრულე ანგელოზებისათვის არის შესაძლებელი

და არა ხორციელი მომაკედავი კაცისაგან! ანგარება ქრისტეს წმიდა მოძღვრებასთან არ მოთავსდება, მაგრამ მღვდელი ხორციელი კაცი არის და მამასადადმე ხორციელი მოთხოვნილებანიც ექმნება. ძარგათ მოგვხსენებთ, რომ სამღვდლოდ აღრჩეულმა პირმა ხელდასხმამდის ცოლი უნდა შეერთოს; ცოლს შვილები მოჰყვება თან და შვილებს გამოზრდა და პატრონობა უნდა და ყველა ამებს ერთად, რალა თქმა უნდა, ნივთიერი მოთხოვნილებანიც გაუყრელად თანა სდევნ. აგეთ მდგომარებაში ჩაყარნილი მღვდელი თავს ატყდება სარჩენად თავის ორმოც თუ სამოც კომლსამრევლოს. მსთქვათ, მღვდელმა გამოიჩინა მეტის-მეტე ხასიათის სიმტკიცე და თავკანწირულება და დასძლია ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დაბრკოლებანი,—არ დაატყდა თავის მცირე მრევლს ცოლ-შვილით სარჩენად. ამ გზითაც თავის მიზანს მაინც ვერ მიადწევს. მიმეორებ, რომ პატიოსანი და თავგანწირული მოძღვარი ზნეობით მოვალე არის გახსნას სამრევლო სკოლა და უსასყიდლოთ ასწავლოს სამრევლოს ბავშვებს (სკოლების გახსნა სამღვდლოებას უმაღლესად დავალებული აქვს). ამას გარდა, თუ რომ მღვდელი რიგიანია და თავის მოვალეობა გავცება, შინაური აუთიქიც რომ იქონიოს და თავის სამწყსოს როგორც სულიერ, ისრე ხორციელ სენთა კურნება მიანიჭოს, მგონი, ურიგო არ იქმნება! ამას ისიც დაუმატოთ, რომ ნასწავლ მღვდელს უჭურნალ-გაზეთოდ და უწიგნოთ ცხოვრება არ შეუძლია; უამისოთ ან კი რითი ივარჯიშოს გონებითად. შიველივე ამებს აუცილებლათ ნივთიერი საშვალეობა სჭირდება, უფულოდ ყოველად შეუძლებელია ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. რა ჰქმნას საწყალმა მღვდელმა? რომელი წყაროს საშვალეობით დააკმაყოფილოს ეს არსებითი მოთხოვნილებანი? რა არის საჭირო, რომ ამ არა სანატრელ მდგომარეობიდან გამოვიდეს სამღვდლოება? ჩემის ფიქრით, ერთადერთ საშვალეობად ამ არა სანატრელ მდგომარეობიდან სამღვდლოების გამოსახსნელად უნდა ჩაითვალოს დღევანდელი სამრევლოების გადიდება. თუ რომ სამრევლოს გადიდება არ მოხერხდება, შემცირებით მაინც ნულარ

შემცირდება რომელიმე სამრევლო. მრმოც-სამოცი კომლის მაგიერ რომ მღვდელს ასი და ორასი კომლი ეყოლოს, მაშინ უფრო იოლათ წავა მღვდელიც და მრევლსაც არ გაუჭირდებათ, უზრუნველ ჰყონ მათთვისაც თავდადებული და სიკეთის მოსურნე მოძღვარი. მაშინ, მღვდელი თავის დანიშნულებასაც კარგათ შეასრულებს და მრევლსა და მღვდელ შორის ხშირ განხეთქილებასაც ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღებება. ზემოთ მოვიხსენეთ, რომ სამრევლოების გადიდება თუ არ შეიძლება, დამცირებით მაინც ნულარ დაამცირებენ-თქო. ამ აზრამდის შემდეგმა გარემოებამ მიმიყვანა: რაჭის მაზრაში არის ერთი სოფელი, რომელსაც სახელად «წადიში» ჰქვია; ამ სოფელში გახლავთ შტატის ეკლესია, რომელზედაც მიწერილი არის სოფლის ბარეულის მაცხოვრის ეკლესია; ორივე სოფლებში იქმნება ას ოც-დაათ მოსახლემდე; ხსენებულ ზედ-მიწერილ ეკლესიას დღეს დღეობით თავის საკუთარი მღვდელი ჰყავს. ამ ბოლოს დროა, ამ მღვდელმა ჩააგონა სოფელ ბარეულის მცხოვრებთ: «ჩემს შემდეგ საკუთარი მღვდელი აღარ გეყოლება და ამიტომ მთავრობას სთხოვეთ, რომ შტატით დაამტკიცოს თქვენი ეკლესია, რომ შემდეგ ჩემს საკუთარი მღვდელი გეყოლოსთო». მორჩა და გათავდა! ამ პატივცემულ მოძღვარს ჰგონია, რომ თუ ბარეულებს საკუთარი მღვდელი ეყოლება, ამის მეტი არა დასჭირდებათ რაო. ჩემის ფიქრით ბარეულებისათვის საკუთარი მღვდლის ყოლა მეტი ტვირთი იქმნება და სხვა არაფერი. მს სოფლები ერთი მეორეზედ არიან მობმულნი და ერთმღვდელსაც კარგათ შეუძლია მათი მოვლა. მსეც რომ არ იყოს, რა საჭირო არის რაღაც ასიოდე კომლის ორ შტატით გაყოფა, ნუ თუ სხვაგან არსად აქვს ერთ მღვდელს ჩაბარებული ასი კომლი კაცი? მხლა თუ არა, იქნება შემდეგში მაინც ელირსოს ამ სამრევლოს ისეთი მღვდელი, რომელმაც ცოტაოდენი ზნეობრივ-გონებრივი განათლება მაინც შეიტანოს ამ ჩვენს წყვილიდით გარემოცულს ცხოვრებაში, მღვდელი, რომელსაც შეგნებული ექმნეს თავის წმიდა მოვალეობა და ამასთან ჰქონდეს ცოდნა და სურვილიც მოსდევდეს ღვთისა და კაცის სამსახურისათვის.

მღვდელი გაბრიელ ფოფხაძე.

«მწეპმსი»-ს კორრესპოდენცია.

მწეპმსის ხმა თიანეთის მაზრადაჲ.

ჩემდამო რწმუნებულს სოფლის მუქოს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის სამრევლოში არის ერთი სოფელი, რომელსაც სახელად ეწოდება ჭიჩო; ამ სოფლის ერთ ფერდობზე არის აღმენებული ერთი ქვის სახლი, რომელშიაც მარტო ერთი დიდი ოთახია. ამ ოთახის გვერდით არის პატარა სამრევლო, რომელზედაც ჰკილია ზარა. დანიშნულ დღეებში ხევის-ბერი ატყობინებს ხალხს ზარის რეკით, რომ აქ მოგროვდენ და შეასრულონ თავიანთი ძველი ჩვეულება. ამ სალოცავს ხალხი უწოდებს «თავადი პირცეცხლი»-ს. იგი დიდ წმიდანათ მიაჩნიათ მის მადიდებელთ და ხშირად ახსენებენ ხოლმე ლაპარაკში: «თავადი პირცეცხლის» მადლიაო. მე გამოვიკითხე მოხუცებულ კაცებს, თუ ვინ ყოფილა ეს «თავადი პირცეცხლი» და ან რისათვის სცემენ მასს თავყვანს? ამაზე მოხუცებულებმა შემდეგი მიაპბეს: მამაო მღვდელიო, უწინდელ დროში ამ ფერდობზე მდგარა ერთი წმიდა კაცი თავადი და ამ ზევით დიდ მთაზე (რომელსაც ისინი მთაწმიდას უწოდებენ) ციდან ცეცხლის სვეტი ჩამოშვებულა და გაჩერებულა მთაზე ანგელოსის სახით, ფერდობიდან თავადს უთხოვინია ანგელოსისათვის, რომ ჩემთან ჩამოდი და ვიცხოვროთო; თავადის თხოვნით ანგელოსი ჩამოსულა, ორივენი გადაქვეულან წმიდა ბერად; მას ულოცნია აქ და სასწაულებიც ბერი რამ უქმნია. ამიტომ ჩვენ წინაპართ მიუღიათ იგი წმიდანად. მხლა ჩვენც გერწამს იგი და მიგვანია როგორც ერთი რომელიმე სასწაულთ მომქმედი ხატი. მე აუხსენი მოხუცებულებს, რომ ეს ყოველივე ხევის-ბერების მოგონილი და გავრცელებული არის, თორემ უეჭველათ წმიდათა ცხოვრებაში ამაზედაც დასწერდენ რასმესა-თქო.

ამ სალოცავში ხევის-ბერათ არის ამ სოფელშივე მცხოვრები გლეხი შტროია ძეშვიკაშვილი, რომელსაც დიდი გავლენა და მოქმედება აქვს არა მარტო ამ სალოცავში, არამედ სხვა სოფლების სალოცავებშიაც. მოხსენებული ხევის-ბერი თავისუფლად დასეირნობს სოფელში და ავრცელებს ამისთანა ცრუ-მორწმუნებას. იგი ეუბნება ყველას: «წმიდებო, ჩვენ ძველ ჩვეულებას ნუ დაგკარგავთ» და ხალხიც დიდ პატივსა სცემს ამისთანა მოგონილ სალოცავებს. მე როგორც ვხედავ, ხევის-ბერების მოქმედებას კიდევ დიდხანს ექმნება ხალხზე გავლენა, თუ მთავრობა არ მიეშველა მღვდლებს და ძალდატანებით არ მოსპოა ხევის-ბერობა.

მუქოს სამრევლო ეკლესიის მღვდელი იაკობ ფანელიძე.



საისტორიო მასალა.

1650 წელს საქართველოში მოგზაურობა მეფის ალექსი მიხაილის მის მიერ გამოგზავნილ დესპანთა იმერეთის მეფე ალექსანდრესთან და ამ დესპანთაგან გელათის მონასტრის და ქუთაისის ბაგრატიონ ტაძრის აღწერა და ამ ტაძრებში მათგან ქათალიკოსის წიგნის მოხსენა.

(გაგრძელება *).

«მეუღლე» ხელმწიფე ალექსანდრეს სასახლეში სადილ-სი. აქ მრავალი დიდ-გაგება იყო შეკრებილი. მეფე ალექსანდრემ გვიგობრად დასხდომა ჩვენ დეხმანთა ნიკიფორეს და ალექსის და ამ უგანასენელის შვილს გლეშენტოს ცოლს მომარებით, მარტხნივ. ჩვენს და მეფეს შორის იჯდა გოლგოთის მონასტრის იგუმენი ნიკიფორე. მარტხნივ გვირდზე მეფესთან იჯდა ქათალიკოსი (ჩვენებურად პატრიარქი) და მიტროპოლიტი ზაქარია და დავითი და სხვანი მთავარ-ეპისკოპოსნი, აქიმანდრიტი და შემდეგ ორბაკ მხრით კარის კარნი და თავდაზნაურნი. გაშალეს მშვენიერი სუფრა ატლასის და სხვა შვირთისი სამონასტრო ნაკეთობი. მეფე ალექსანდრე და მისი კარის კაცები და თავად აზნაურთა მოფთხნილნი იჯდნენ ნახებზე, ჩვენ კი სვამებზე ვისხედით და სტოლი გვედგა წინ. მესუფრებმა მოიტანეს სასმელ-საჭმელები. მერქიფობი ავსებდნენ სასამოს ღვინით და შიარტოვდნენ მეფეს და ყველას. რაღა სადალზე დაესხედით დალაშქრების სწორეთ ორი საათი იქნებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა ფეხზე მეფე ალექსანდრე და მასთან ყველანი, ვინც კი სუფრაზე ისხდნენ. მეფეს მოართვეს ღვინით სავსე თასი. მეფემ მიიღო თასი და გარდასცა ქათალიკოსს, რომ მას წაჩქეთქვა ლოცვა მეფის ალექსი მიხაილის მის სადღეგრძელოდ. ქათალიკოსმა, წამოხსენებდა რა თასზედ ლოცვა, მიართვა იგი ისევ მეფეს. მეფემ მიიღო თასი და წამოხსენებდა მშვე-

ნიერი მოკლე შესხმა, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაათვა: «ესამ სადღეგრძელოს აღექსი მიხაილის ძიასს, დემეტრან ტანმტელ ჭურს იგი მრავალს წელსა», და გამოცალა რა თასი, აღმადლა იგი თავზემოთ და დაუღია ქათალიკოსს, შემდეგ ქათალიკოსისა. თასი გადმოგვცა ჩვენ სათითოელოდ. როდესაც მეფემ გადმოგვცა ჩვენ თასი, გვითხრა შემდეგი სიტყვა: «მე ვიჩვენებ ვეფელაფეკი შეკითვევით მასკოვის სამეფოზე, შეკითვევით რომ იქ არის დაცული ჩვენი ტრეშარიტი მარტო-მადიდებელი სარწმუნოება, რომ იქ შეფობს მარტო-მადიდებელი თვითმზერებელი დიდი ხელმწიფე სრულიად რუსეთისა ალექსი მიხაილის ძე. მე მუდამ მსუდრა ოდესმე მენახა იქაურნი მოწმუნე ხალხი. ამისათვის მე გავგზავნე დესპანი მეფე ალექსი მიხაილის ძესთან, შესატყობად მისი დღეგრძელობისა; ჩემი გავგზავნილი დესპანი დიდის პატივისცემით იყვნენ მიღებულნი მისგან. ამის ნაცვლად მე დღეს გსუდავთ თქვენ მეფისაგან გამოგზავნილ დესპანთა და, მოვიხმინე რა თქვენგან მოწყალებითი მოგითხვა მეფის ალექსი მიხაილის ძისგან, მზადა ვარ ყველა ჩემი მოწმუნე ქვეშევრდომებით აღვსდგე, ვიბრძოლო და თავი დავსდგა ყველა მისი მტრების წინააღმდეგ». გაათავა თუ არა შესხმა, მეფე დაბრძანდა და ყველას უბრძანა დასხდომა და სათითოელოდ მეფის ალექსი მიხაილის მის სადღეგრძელოს დაღეგა; ეს სადღეგრძელო ყველამ მიიწთვა ფეხზე. შემდეგ ნიკიფორე და ალექსი წარსდგნენ წინ, დალიეს მეფის ალექსანდრეს სადღეგრძელო; ქათალიკოსმა, მიტროპოლიტებმა, მთავარ-ეპისკოპოსებმა და მეფის კარის დიდ-გაგობამ ფეხზე დგომით. დანარჩენი დიდ-გაგობა და თავდაზნაურთა შვიდ-შვიდი მოდიოდნენ მეფის წინ სავსე თასებით ხელში, წამოხსენებდნენ მის სადღეგრძელოს და დაღეგდნენ, თვითოელი მათგანი თავს უგრადა, ცალ მუხლ მოდრეკით, და ბრუნდებოდნენ უგან და თავის ადგილზე სხდებოდნენ.

მეფის და ქათალიკოსის წინ საჭმელები მოჭქანდათ ოქროს-საჭმელს ჭურჭლებით, ღვინის დოჭებიც და სასამოებიც ყველაფერი ოქროსი იყო. ჩვენც ჭურჭლები და საჭმელის იარაღები ყველა ოქროსი გვეჭანდა. დანარჩენ დიდ-გაგობათა და თავად აზნაურთა საჭმელის



იარაღები, ღვინის ჭურჭლები და თასები ყველა კერძ-
ლისანი იყენენ. როცა დაბინდდა, შემოიტანეს რძა
დიდი კერძის შინდანი, რომლებშიაც იყო რძი და-
დი მოთქმადებული სანთელი და რძივე მეფის წინ
დადგეს. ერთი ამისთანავე შინდანი დაუდგეს წინ ქა-
თალიკოსს, დანარჩენებითა: მღვდელ-მთავართა, ხეი და
კარის სხვა დიდკაცთა და თავად-ახნაურთა ყველგან
კერძის შინდლებით დაუდგეს წინ სანთლები, სულ
უგანა სთუფაყედ ვი თითბრის შინდლებით. სადალი
კაცობულა ღამის სამ საათამდე. სადილზე მეფე ძლიერ
მხიარულად ბრძანდებოდა და მეფის დიდებული ხმა ხში-
რად გასმობდა. მეფე ქვეშ-ქვეშ ხშირად გვიუბრუნებდა
ჩვენ და ყველა ჩვენი მეფის კაცებს. ნასადილევს მეფემ
გამოგვიტოვებდა ჩვენ ბანაკს. მკვალნი გამოგვივი-
ცხენებამდისინ და ზოგიერთ ახნაურნი სადგომამდისინაც.

როდესაც ჩვენ დასვენდნენ, ნიკიფორე და ალექსი
გამოვეცხადეთ მეფე ალექსანდრეს, იმ დროს აღშენებუ-
ლი იყო სასახლის ეზოში ყიზილბაშური დიდი კარავი.
ამ კარავს სიგძე და განი ქქონდა თუთხმეტი თუთხმეტი
საჯენი და დასურული იყო ზემოდამ კარავისავე სამო-
სით. ირგვლივ შემოსილი იყო ჭრელი ფრადი სალი-
ხებით. მეფის დასაჯდომი ადგილის ირგვლივ ზემოთ
დაფარული იყო სხარსული აბრეშუმის სალიხებით
და ზევითა თავი გუმბათივით მღალდი ქქონდა ექვსს
საჯენზედ მეტი. ტახტზედ დაკებული იყო რქოთი
ნაქსოვი სალიხა და ამ სალიხაზედ დადებული იყო ბა-
ლიში წითელი ატლასისა რქოთი და კვრულით ნაქარვი
და გარეშემო თეთრ ატლასზედ მშვენიერი მოქარგუ-
ლობა. ამა ადგილის უგან იყო ამისთანავე მშვენიერი
ბალიში ზურგის მისაღებად. იმ ადგილს, სადაც ტახტე-
ბი იყო მოწყობილი მეფისა და ქათალიკოსისათვის,
საკუთარი სასურავი იყო მოწყობილი; ამ სასურავზედ,
რომელიც მოწყობილი იყო ქოლგის მსგავსად აბრეშუ-
მით ნაქსოვი თეთრი ატლასისაგან, რომელზედაც მოქა-
რგული იყო სხვა და სხვა ფრინველების სახე და გარე-
შემო ქქონდა ჩამოკიდებული მშვენიერი ფერხი. იმ დროს,
როდესაც ნიკიფორე და ალექსი იასლენ მეფეს, მეფე
ყიზილბაშურად მოთქმისილი ბრძანდებოდა ტახტზე.
მეფეს ენა ტანზედ გრძელი ჩახს (კახა), ახალგონი

რქოთი ნაქსოვი საბირით, რქოს ფერხებით შემოკლე-
ბული, რქოს დილებით, რომლებიც შემკულია აღმა-
სებით. ჩახსზედ საყელა მარცალიტით შემკულია. ჩა-
ხსს გარეთ ქამარი ქქონდა შემოკრტიული, რომელიც
წინ შებრუნულია რქოს სკამანგით (ვაпонки). გვერ-
დზედ ქქილია ხრძალი რქოთი და ძვირფასი თვლებით
მოჭედული თავისი საკუთარი სარტულით. ჩახსს გარეშ
აქვს მოსასხამი, რომლის გარეთა პირი მოქარგულია
რქოთი. ეს მოსასხამი ერთ ადგილას იბნევა ზევით
რქოს შესახვევით. მეფეს რქოს ძეწვეთ ჩამოკიდე-
ბული აქვს რქოს ვგარი, ნაწილებით სავსე, თავზედ
ასურავს გვირგვინი, მრავალი ძვირფასი ქვებით მოჭე-
დილი. ირგვლივ საშეფო გვირგვინს აქვს ძვირფასი
ქვებით მოჭედილი რქოს ძელები, მეფის ხელშიდ
უკავია კვერთხი, რომელიც მოჭედილია რქოთი და
ძვირფასი ქვებით.

სადილობის დროს მეფეს თავზედ ასურავს ბარხა-
ტის ქუდი, გვირგვინი და კვერთხი ვი წინ აქვს დად-
ბული ცალკე ამაღლებულ დასადებულზე, რომელიც მშვე-
ნიერად აჩის შემკული. მეფის პირ-და-პირ კარავში აჩის
დასვენებული კვერთხი ვეცხლისა მოაქვრილი, რომელსაც
თავზედ აქვს მოწყობილი ვეცხლის კიდობანი; ამ კიდო-
ბანზედ დახატულნი აჩიან: მცხობკარი, ღვთის-მომბელი,
და სხვანი. მეფეს მარჯვნივ და მარცხნივ მხარეზედ აქვს
დადებული კვერთხები რქოსისა და ვეცხლის კიდობნებით
და სხვა და-სხვა მხატვრობებით. ეს კიდობნები მოჭე-
დილია ძვირფასი ქვებით.

აქ, მისაღებ ზალაში, მარჯვნივ მეფისა იხსდა ქათა-
ლიკოსი. წინ დადებული აქვს მას აბრეშუმის სალიხა და
ამ სალიხაზედ აჩის დადებული ბალიში. უგან ზურგის
მისაწოლი ბალიში ისე აქვს მოქარგული, როგორც
მეფეს. ქათალიკოსი მანტიანა. მანტია შემკულია რქ-
ოს ქსოვილებითა და მხატვრობებითა, საუფლო
დღესასწაულებით და სხვაებითა. ქათალიკოსის წინ დად-
ბულნი იყენენ მშვენიერი სვამები (шары) და სვამების
წინ სალიხაზედ დადებული იყო ქოშები. სადილობის
დროს ქათალიკოსის ქუდი და კვერთხი ამ სტოლზე
აწვიან. ქათალიკოსს ამ დროს ხელში ეკავა რქოთი-
თავიანი

ნი კვერთხი, რომელსედაც მოწუობილნი იყვნენ სამი
 მრგვალი გაშლის მსგავსი ბურთები, მოჭედილი ოქროთი და
 ძვირფასი ქვებით. სადილსედა იყვნენ ქათალიკასი, რაში
 შიტრამზალაიტი, ოთხი მთავარ-ეპისკოპოსი ცხრა
 ანქიმანდრიტი, ერთი იგუმენი და სამოცდა ოთხმე-
 ტი სსვა დიდ-გაცობა და ისე ისხდნენ ყველანი, რომ
 შირ-და-პირ შესტქერადენ მეფესა და მეფეც ყველას
 შესტქერადა. ყველას საჭმელები და ჭურჭლის იარაღებიც
 ძლიერ სუფადა დალაგებულნი იყვნენ მშვენიერ ხალი-
 ნებზედ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატე-
 ბის კრება, როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, დანი-
 შნულია ქ. ქუთაისში აგვისტოს 11, 12 და 13 რი-
 ცხვებისათვის. ამ კრებაზე სამღვდლოებამ მსჯე-
 ლობა უნდა იქონიოს ქუთაისის სასულიერო სასწა-
 ვლებლის შენობის დამაგრების შესახებ, რადგან ამ
 შენობის ზოგიერთი კედლები დაიზარდნენ სასწავლებ-
 ლის უწინდელი ზედამხედველების შენობის საქმის
 უეცრობისა გამო. ამ ბატონებმა იმის გამო რომ
 ორიოდ ოთახი მიემატებიათ შენობისათვის, მთლად
 ძირი გამოუთხარეს სასწავლებელს. ამავე კრებაზე
 სასწავლებლის ხარჯთა აღრიცხვის განხილვისა და დამ-
 ტკიცების გარდა, დეპუტატებმა უნდა განიხილონ ერთი
 საყურადღებო კითხვა. ეს კითხვა გამოიწვია უმაღლეს
 სახელზედ ზოგიერთი მღვდლებისაგან მიცემულმა თხო-
 ვნამ. ზოგიერთ მღვდლებს უთხოვნიათ მთავრობისა-
 თვის, რომ მათ ისევე ძველის წესით მიეცეს დრამა.
 შ. ი. ნაცვლად იმ ორი მანეთისა, რომელსაც დღეს გლე-
 ხები დიდის გაჭირებით აძლევენ მღვდელს, აძლიონ
 მათ პური, სიმინდი, ლენო და სხვანი. თუმცა გლეხები
 ძლიერ მოგებულნი არიან ნაცვლად ხორავის ძლე-
 ვისა ორი მანეთის გადახდით, მაგრამ სოფლის მამა-

სახლისებმა ისე გააჭირეს ამ დრამის ფულების შეკ-
 რების საქმე, რომ სამღვდლოება, ჩვენის აზრით,
 ისევე ძველებური წესით ისურვებს დრამის აღებას.

*
*
*

მრავალ პირს სურს ყიღვა «ქამნისა», მაგრამ
 არ იციან, თუ სად და ვისთან მიიქცნენ ამ წიგნის სა-
 სუილად. შ. ქუთაისში მღვდელ-მონაზონ გრიგო-
 რისთან ამ წიგნის ორას ცალზე მეტია გასაყიდელი,
 ამიტომ მსურველთ ურჩევთ მიმართონ მ. გრიგორის.

*
*
*

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში წელს
 სწავლა დაამთავრა 56 მოწაფემ. მათში 36 მოწაფე
 აღმოჩნდა ღირსი თბილისის სასულიერო სემინარიის
 პირველ კლასში გადაყვანისა.

*
*
*

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი
 საყურადღებო შენიშვნა:

«ამ დღებში ქ. ქუთაისის ერთმა მღვდელმა
 მხილება დაუწყო ერთი აქაური სასწავლებლის უფროსს
 ქუჩაში შეხვედრის დროს. მხილება სწორედ მოსწრე-
 ბული და საგულისხმიერო იყო. აი საქმე რაში
 მდგომარეობს: დღესაც ბევრი არიან ჩვენ საზოგა-
 დებაში ისეთნი, რომელნიც მღვდლის შეხვედრას რა-
 ლაცა უბედურების მომასწავებლად რაცხვენ და ამი-
 ტომ მის დანახვაზე მოჰყვებიან რაღაცა სულელურ
 ხელის ფათურს... ზემოდ მოხსენებული სასწავლებლის
 უფროსიც ასე მოქცეულა თურმე, როცა მას ეს სუ-
 ლიერი მამა შეხვედრია გზაში. როგორც გავიგეთ,
 ამ სასწავლებლის უფროს მოუსწრია და საჩივარი
 შეუტანია ადგილობრით სასულიერო მთავრობასთან,
 რომელსაც გამოძიება დაუნიშნავს ამაზე. ამავე სა-
 ქმის შესახებ, როგორც გვითხრეს, საქმე დაიწყება აქაურ
 მომრიგებელ სასამართლოში მღვდლის მხრით, როგორც
 შეურაცხ ყოფილი ამ შედაგოგასაგან. ამავე ახირებული
 საქციელისათვის ამ პედაგოგს მთელი ქალაქის სამ-

ლედლობა ემდურის. საკვირველია, თუ რა ზნეობითი განვითარება უნდა მიიღოს ამისთანა პირის ზედამხედველობის ქვეშე აღზრდილმა ახალთაობამ.

ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად მართალია ეს შენიშვნა, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ამ ბოლოს დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში რალაცა გამრაველდა ამისთა ამოდმორწმუნეობით აღჭურვილნი პირნი და ისიც, სამწუხაროდ, უფრო, ესრედ წოდებულ, ნასწავლ ქალებში. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ ამისთანა ახირებული საქციელისათვის პასუხის გებაში იყო მიცემული პეტერბურგში ორი ქალბატონი ერთი მღვდლის შეურაცხებისა გამო და იგინი ორი თვე ბრძანდებოდენ დაპატიმრებულნი. შეურაცხყოფილი მღვდელი მოწმად იქმნა მიღებული სასამართლოში და მართა მღვდლის ჩვენებით გამტყუნეს ეს ქალბატონები. დროა ამისთანა ბატონებმა თავის სინდისს ანგარიში მოსთხოვონ, თუ კი სინდისი მათში კიდევ არსებობს.

16 მაისს საჩხერის საზოგადოებამ გაისტუმრა ყველასაგან პატივცემული და შეყვარებული მომრიგებელი მოსამართლე ბ. მასილ ნიკოლოზის ძე სამოილოვსკი. ნიშნად გულითადი პატივისცემისა საზოგადოებამ სადილი გაუკეთა ბ. სამოილოვსკის. ამ სადილზე ბევრი გრძობით სავსე სიტყვები წარმოითქვა. საზოგადოების სამწუხაროდ დაურჩა ამისთანა პატიოსანი მსაჯულის მოშორება. მართლა, საკვირველია, რომ იმ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც საზოგადოების სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებს თავისი მოვალეობის მტკიცედ და პირუთვნელად აღსრულებისათვის, მალე ამორჩებენ საზოგადოების, ხოლო იმისთანებს, რომელნიც თავს აბეჭებენ საზოგადოებას თავისი უხასიათობით და პირდაპირი მოვალეობის უეცობით და

რომელიც არსებულ კანონებს მნიშვნელობას უკარგვენ ხალხის თვალში, თითქო საგანგებოდ დიდხანს სტოვებენ მათ ერთსა და იგივე ადგილზე.

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი წერილი: «ამას წინად ყვირილიდამ ერთი ვილაცა კორრესპოდენტი სწერდა გაზეთ «ივერია»-ს, რომ დაბა ყვირილაში გაიხსნა საქალებო სკოლა, რომელშიაც ვაჟებსაც მიიღებენო. ამასთან კორრესპოდენტი მწუხარებას აცხადებდა, რომ საზოგადოება თავიანთ შეილებს ვიდაჭა დააკვნების სკოლებში უფრო აძლევს სასწავლებლად, ვინემ ამ ახლად გახსნილ სკოლაშია».

«ამ ბოლო დროს შენიშნულია, რომ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებული ქალები ხშირად გაუთხოვრად რჩებიან, ვინაიდან, ზოგიერთების აზრით, ქორწინება სისულელეა. ამ აზრს ხომ გაზეთი «თეატრი»-ც ამტკიცებს!.. ხშირად ეს გაუთხოვრად დარჩენილი ქალები თავის სახელის გამოჩენისათვის სკოლებს ხსნიან, მაგრამ, თუ ვინმე საქმრო იშოვებს, თავიანთ სკოლებს მაშინვე თავს ანებებენ. მხლა ვკითხავთ ბ. ყვირილელ კორრესპოდენტს: რა უპირატესობას აძლევს იგი საქალებო სკოლას ვიდაჭა დააკვნების სკოლებზე? ალბათ ხალხმა კარგად იცის, თუ სად უფრო საუმჯობესოა ბავშვის სასწავლებლად მიბარება და ამიტომ კორრესპოდენტის მწუხარება უადგილოდ მიგვაჩნია, რადგან კარგად ვიცით კორრესპოდენტის მწუხარების მიზეზი».

ნიშნად გულითადი პატივისცემისა

პირველი ხელის-მოწერა 1889 წლისათვის ორ-
კვირულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსი“

დ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყო-
ბინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა გან-
კარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და
სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და
მღვდელ-მთავართა; 2) გააერცელოს ქართველ სასუ-
ლიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა
და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვ-
რების კითხვათა შესახებ; 3) გააერცელოს საქართვე-
ლოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და
მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და
სარწმუნოებისა და 4) უხსნას და განუმარტოს
სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზო-
სგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცი-
ლებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი
მოვალეობის აღრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა,
ზემოხსენებულის პროგრამის აღრულების გარდა,
არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და
საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერე-
სო «მწყემსი»-ში დაბეჭდილთა სტატიებისა; 2) გაა-
ცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას სა-
სოთველო, ეს დაზოგრებული კუთხე რუსეთის იმპე-
რიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წო-

დება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს
რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრე-
ბას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ორივე გამოცემა 6 — „ორივე გამოცემა 4 —
— „რუსული „ 3 მ. | — „რუსული „ 2 მ.

რედაქცია იმყოფება ქ. თბილისში საღვთის ქუჩაზე,
მარკაროვის სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. შუთაისში ხანა-
ნაშვილების სახლებში და დ. შვირილაში რედაქტორის
საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც
რედაქციაში, ისე კანტორებში.

ზარემ მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ
ამ აღრესით; Въ Квирилу, въ контору редакціи
„МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

შინაარსი: უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი
კონსტანტინე პეტრეს ძე პოპოვსკი.—სოხუმის
სახლი კნისკოპოსი, ყოვლად სამღვდლო აღქმანდრე.—
ზასუსი მ. ბენედიქტეს (პარკალაის).—ხმა რაჭის
მღვდლისა.—«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია თიანეთის
მარზიანთან.—საისტორიო მასალა.—სახლი ამბები და
შენიშვნები.—განცხადება.